დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 თებერვლის N2 და
წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 29 მარტის N2 სხდომის გადაწყვეტილებებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიის სკოლის

დებულება

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეპარატამენტ** - „ტექნოლოგიის სკოლის“ (შემდეგში სკოლა) მიზნებსა და ამოცანებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებისა და დეპარტამენტის/სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;
2. სკოლის დებულებას სკოლის საბჭოსთან ერთად შეიმუშავებს სკოლის ხელმძღვანელი და უთანხმებს ფაკულტეტის დეკანს. ფაკულტეტის დეკანი დეპარტამენტის დებულებას განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დებულების მოწონების შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანი დეპარტამენტის დებულებას დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს.

მუხლი 2. ტექნოლოგიის სკოლის სტატუსი

1. ტექნოლოგიის სკოლა არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საგანმანათლებლო და კვლევითი მიზნებისთვის შექმნილი დეპარტამენტი/სკოლა;
2. სკოლა შექმნილია და დამტკიცებულია აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების 2019 წლის 30 იანვრის N1 სხდომის ოქმით

მუხლი 3. სკოლის მიზნები და ამოცანები

3.1 სკოლა ემსახურება:

1. სწავლებასა და კვლევას. ციფრული ტექნოლოგიების, მდგრადი განვითარებისა და საინჟინრო სფეროების მრავალმხრივ კვლევას ახალი ცოდნისა და გამოცდილების შესაქმნელად;
2. აკადემიური მომზადებისა და უწყვეტი განათლების პროგრამების შექმნას და მუდმივ განვითარებას;
3. ტექნოლოგიის სკოლის პროგრამების ერთმანეთთან თავსებადობის და სხვა საუნივერსიტეტო მიმართულებებთან და აკადემიურ პროგრამებთან კავშირის გაძლიერებას; 4. სკოლის ლაბორატორიული, ტექნიკური და კველვითი ინფრასტრუქტურის შენარჩუნებას, განვითარებას და უსაფრთხო სასწავლო-კვლევითი გარემოს უზრუნველყოფას;
5. პროფესიონალების მომზადებას კვლევის, სწავლებისა და პრაქტიკის თანხვედრით;
6. პირველ პუნქტში მითითებული სფეროების კადრების პროფესიულ განვითარებას;
7. სკოლის აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ახალი კადრების მოზიდვას;
8. ტექნოლოგიის, ინჟინერიის, მათემატიკის, არქიტექტურის სფეროში სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციას;
9. ინსტიტუციური კავშირების დამყარებასა და გაძლიერებას ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე;

10. პროფესორებსა და სტუდენტებს შორის მჭიდრო ურთიერთობების სტიმულირებას სწავლებისა და კვლევის პროცესში;
11. სკოლის პოტენციალის და რესურსების გამოყენებას საზოგადოების საკეთილდღეოდ;
12. ადგილობრივ და საერთაშორისო დონორებთან მუშაობას კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო რესურსების მოძიებისა და მოზიდვის მიზნით.
13. სკოლის მიზნების გადახედვა ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ, ან სკოლის საბჭოს წევრთა უბრალო უმრავლესობის მოთხოვნის საფუძველზე;

3.2 სკოლის ამოცანებია:

1. სკოლის ამოცანები წარმოადგენს სკოლის მიმართულებების ამოცანების ერთობლიობას;

2. სკოლის მიმართულებების ამოცანები განისაზღვრება მიმართულების 2 წლიან სამოქმედო გეგმაში;

3. სკოლის მიმართულებების 2 წლიანი სამოქმედო გეგმა, სკოლის მიმართულების ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე განიხილება და მტკიცდება სკოლის საბჭოზე;

4. სკოლის საბჭოზე დამტკიცებული მიმართულების ან მიმართულებების სამოქმედო გეგმის ამოცანების ინტეგრაცია სკოლის ამოცანათა ნუსხაში ხორციელდება სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე და ეგზავნება ფაკულტეტის დეკანსა და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად;

5. მიმართულებების სამოქმედო გეგმაში გაწერილი ამოცანების შესრულება ფასდება ე.წ. OKR (Objectives and Key Results) პრინციპით, შესაბამისად ამოცანები უნდა იყოს გაწერილი, იმგვარად რომ დაფიქსირებული იყოს ერთი მიზანი და ამ მიზნიდან გამომდინარე მოსალონდელი შედეგები;

6. ერთობლიობაში მიმართულებების ამოცანები თანხვედრაში უნდა მოდიოდეს იმ მიზნებთან რომლის მიღწევასაც ემსახურება სკოლა და ამასთან ამოცანები ასევე შეიძლება ემსახურებოდეს მიმართულებისთვის საინტერესო კვლევისა თუ განხრის განვითარებასა და დახელოვნებას;

7. სკოლისა და მიმართულებების ამოცანების გადახედვა, კორექტირება და განახლება სავალდებულოა 2 წლის განმავლობაში, მიღწეული შედეგებისა და მიზნების განხილვის საფუძველზე;

8. სკოლისა და მიმართულებების ამოცანების გადახედვა ვადაზე ადრე შეიძლება ინიცირებული იყოს სკოლის საბჭოს უბრალოდ უმრავლესობის გადაწყვეტილების საფუძველზე;

9. სკოლის მიმართულებების ამოცანების მიღწევის პროცესის გადახედვა, შეფასება და შესაბამისი შუალედური დასკვნის მომზადება სავალდებულოა ყოველი აკადემიური წლის დასასრულს;

მუხლი 4. სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. თავისი მიზნების შესასრულებლად სკოლა ფაკულტეტის დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო პროგრამებსა და კვლევას.
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის, ტექნოლოგიის სკოლაში სასწავლო და კვლევითი საქმიანობა გადანაწილებულია შემდეგ მიმართულებებზე/კომპეტენციის ცენტრებზე:
   ა) არქიტექტურა და მდგრადი განვითარება;
   ბ) კომპიუტერული მეცნიერება;
   გ) მათემატიკა;
   დ) სამოქალაქო ინჟინერია;
   ე) ციფრული ინჟინერია;
3. მე-2 პუნქტში აღნიშნული მიმართულებები აერთიანებს, როგორც საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სასწავლო პროგრამებს, ასევე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის იმ სასწავლო-კვლევით ცენტრებსა და ინსტიტუტებს, რომელთა საქმიანობა პირდაპირ კავშირშია ტექნოლოგიის სკოლის შესაბამის სასწავლო-კვლევით მიმართულებასთან;
4. აკადემიური განათლების მიზანია:
ა) ეფექტური და მაღალი ხარისხის აკადემიური პროგრამების მომზადება და განხორციელება.
ბ) სწავლისა და სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე. ასევე სწავლისა და სწავლების ხარისხის სათანადოდ გაზომვისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებისთვის საჭირო პროცესების დანერგვა და სისტემატიური განხორციელება;
5. უწყვეტი განათლების მიზანია ხელი შეუწყოს დაინტერესებულ პირებს მათ პროფესიულ განვითარებაში, შესთავაზოს სასერთიფიკატო და ტრენინგ პროგრამები.
6. საზოგადოებრივი მომსახურების მიზანია სკოლამ შესაბამის ინსტიტუციებთან და დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს ტექნოლოგიებში მომუშავე ბიზნესის სფეროს წარმომადგენლების საჭიროებების კვლევა, მათთან კომუნიკაცია და კვლევაზე დაფუძნებული საჭიროებების ხელშეწყობა.

მუხლი 5. სკოლის სტრუქტურა

სკოლის სტრუქტურა შედგება: სკოლის ხელმძღვანელისგან, სკოლის ხელმძღვანელის თანაშემწის, სკოლის საბჭოსგან, სწავლისა და სწავლების ხარისხის მენეჯერისა და ექსპერტებისგან და ასევე სწავლისა და სწავლების პროცესების კოორდინატორებისგან;

მუხლი 6. სკოლის მართვის ორგანოები

სკოლის მართვის ორგანოებია: სკოლის ხელმძღვანელი და სკოლის საბჭო.

მუხლი 7. სკოლის საბჭო

1. **სკოლის საბჭო შედგება:** სკოლის ხელმძღვანელისგან და მიმართულების/პროგრამის/კომპეტენციის ცენტრების ხელმძღვანელებისგან.
2. საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება უნივერსიტეტთან შრომითი ხელშეკრულების ამოწურვის ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.
3. საბჭო უფლებამოსილია საბჭოს წევრს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით შეუწყვიტოს წევრის სტატუსი, წევრის მხრიდან კანომდებლობის დაღვევის შემთხვევაში -

4. **სკოლის საბჭოს ფუნქციებია:**

ა) სკოლის კონცეფციაში ცვლილებების შემუშავება და წარდგენა ფაკულტეტის საბჭოსთვის (გარდა პირველი კონცეფციისა);
ბ) სკოლის განვითარების გეგმის შემუშავება და წარდგენა ფაკულტეტის საბჭოსთვის;
გ) სკოლის სასწავლო და კვლევითი პროგრამების განხილვა და წარდგენა ფაკულტეტის საბჭოსთვის;
დ) სკოლის ბიუჯეტის შემუშავება და წარდგენა ფაკულტეტის დეკანისათვის;
ე) სასწავლო წლის/სემესტრის დადგეგმვა სკოლის ხელმძღვანელთან ერთად;
ვ) სტუდენთა საქმეების განხილვა;
ზ) სტუდენტთათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის განხილვა და წარდგენა ფაკულტეტის საბჭოსთვის;
თ) სადოქტორო საფეხურზე დოქტორანთა მიღების საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
ი) სკოლის საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. საბჭო უფლებამოსილია, თუ საბჭოს სხდომას ესწრება სკოლის საბჭოს წევრების ნახევარზე მეტი.

მუხლი 8. სკოლის ხელმძღვანელი

1. სკოლის ხელმძღვანელი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ინიშნება რექტორის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით ;
2. სკოლის ხელმძღვანელის ფუნქციებია:
ა) ხელმძღვანელობს სკოლის მართვას;
ბ) ფაკულტეტის საბჭოს, სკოლის საბჭოსთან შეთანხმებით განსახილველად წარუდგენს სკოლის აკადემიურ სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, ან სასერთიფიკატო პროგრამებს ან მათში შესატან ცვლილებებს;
გ) ფაკულტეტის დეკანს სკოლის საბჭოსთან/ან პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციის საფუძველზე წარუდგენს წინადადებებს სასწავლო პროგრამისთვის საჭირო მოწვეული პერსონალის დასაქმების შესახებ;
დ) განიხილავს სკოლის სტუდენტთა განცხადებებს თავის კომპეტენციის ფარგლებში და საჭიროების შემთხვევაში აგზავნის შესაბამის სტრუქტურებში;
ე) აკადემიური და მოწვეული პერსონალის კონტრაქტით განსაზღვრული ანაზღაურების შესახებ წარუდგენს ინფორმაციას ფაკულტეტის დეკანს;
ვ) აწარმოებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, აკონტროლებს ლექციების ჩატარებას;
ზ) მართავს მის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურებს;
თ) მართავს სტუდენტებთან შეხვედრებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით;
ი) ყოველი სემესტრის დაწყებამდე პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად გეგმავს სასწავლო სემესტრს;
კ) ყოველთვიურად ან საჭიროებისამებრ აწყობს შეხვედერას სკოლის საბჭოს წევრებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან სკოლის ფარგლებში მიმდინარე საკითხებზე;
ლ) დეკანს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს სკოლის ფუნქციონირებისთვის საჭირო დამხმარე პერსონალის დასაქმების შესახებ;
მ) კალენდარული წლის განმავლობაში აწყობს კონფერენციებს, საჯარო ლექციებს;
ნ) მართავს სამუშაო პროცესს ტექნოლოგიის სკოლის ფარგლებში არსებულ სტრუქტურებში, ანაწილებს თანამშრომლებს შორის სამუშაო ფუნქციებს და უწევს მონიტორინგს;
ო) წარუდგენს დეკანს თანამშრომელთა წახალისების შესახებ ინიციატივებს;
პ) დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში, დეკანის მიერ ვიზირების შემდეგ, აგზავნის წარდგინებას ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან სკოლის ფუნქციონიერბისათვის საჭირო საკითხებზე;

ჟ) აღასრულებს დეკანის, რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების გადაწყვეტილებებს;
რ) და სხვა საკითხები რომლებიც არ შედის სხვა პირის კომპეტენციაში;

3. ყოველი წლის ბოლოს ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

მუხლი 9.სკოლის დამხმარე პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები

9.1 სკოლის ხელმძღვანელის თანაშემწის, სწავლისა და სწავლების ხარისხის მენეჯერისა და ექსპერტების, და სწავლისა და სწავლების პროცესების კოორდინატორების ფუნქცია მოვალეობებია:

ა) სტუდენტთა კოორდინაცია;
ბ) სტუდენტთა განცხადებებზე რეაგირება;
გ) სასწავლო პროცესის ტექნიკური კოორდინაცია როგორც პედაგოგებისათვის, ასევე სტუდენტებისათვის;
დ) სასწავლო ცხრილის ტექნიკური საკითხების მომზადება და შეთანხმება შესაბამის პირებთან;
ე) პედაგოგთა დატვირთვის მომზადება და აღრიცხვა;
ვ) სემესტრის დასრულებისათვის კურსდამთვარებულთა კვალიფიკაციის მისანიჭებლად საკითხის მომზადება;
ზ) სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების პროგრამის მართვა;
თ) სასწავლო პროგრამების მუდმივი მონიტორინგი და განახლებისათვის რეკომენდაციების მომზადება მოქმედი სტადარტების შესაბამისობის ფარგლებში;
ი) სასწავლო სილაბუსების მონიტორინგი და შემოწმება, ასახულია თუ არა არგუსში;
კ) აკადემიურ პერსონალთან მუდმივი კომუნიკაცია პროგრამების გაუმჯობესების კუთხით;
ლ) მობილობით, სწავლის გაგრძელების, ან საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის ფარგლებში სტუდენტებისათვის თავსებადობის დასკვნების მომზადება;
მ) სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე კრედიტების გადათვლა პროგრამებთან შესაბამისობის კუთხით;
ნ) დიპლომების დანართების მომზადება;
ო) ლექტორის მიერ გადმოგზავნილი საგამოცდო ტესტების საკითხის ორგანიზება;
პ) საგამოცდო ცენტრთან კომუნიკაცია და სტუდენტთა და მაგისტრანტობის კანდიდატთა საგამოცდო პროცესების უზრუნველყოფა, იმ ფარგლებში რა ფუნქციებიც არის გაწერილი საგამოცდო ცენტრის დებულებით;
ჟ) ლექციების ჩატარების მონიტორინგის პროცედურის უზრუნველყოფა და სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება;
რ) სკოლის დირექტორის დახმარება სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხებში;
ს) დამსაქმებლებთან და დაიტერესებულ პირებთან ურთიერთობა სტუდენტთა დასაქმების კუთხით და ინტერესთა ჯგუფების განსაზღვრა და ჩამოყალიბება;
ტ) სტუდენთა დახმარება კარიერის დაგეგმვაში;
უ) ინფორმაციის შეგროვება საზოგადოებრივი აზრისა და ბიზნესის მდგომარეობაზე, მათი განვითარების ტენდენციებსა და წარმოშობილ პრობლემებზე;
ფ) კონფერენციების დაგეგმვა და ორგანიზება;
ქ) ფაკულტეტზე არსებული ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი;
ღ) სასტიპენდიო და საჯარო ლექციების დაგეგმვა, განხორციელების უზრუნველყოფა და ანალიზი;
ყ) სხვა საუნივერსიტეტო საკითხების ორგანიზება;
შ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულება.

მუხლი 10. საბჭოს სხდომა

1. სკოლის საბჭოს სხდომას იწვევს სკოლის ხელმძღვანელი ან სკოლის საბჭოს არანაკლებ 3 (სამი) წევრი;
2. სკოლის საბჭო მოიწვევა სკოლის ხელმძღვანელის მიერ ყოველთვიურად ან საჭიროებისამებრ;
3. საბჭოს სხდომის შემდეგ დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი, რომელთა არჩევაც ხორციელდება ყოველი საბჭოს დაწყებამდე;
4. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით ,,საბჭოს გადაწყვეტილების" სახით.

მუხლი 11. სკოლის გარდაქმნა და გაუქმება

სკოლის გარდაქმნის და გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 12. დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანისწესი

დებულებაში ცვლილების ან/და დამატების პროექტს შეიმუშავებს სკოლის ხელმძღვანელი სკოლის საბჭოსთან ერთად. აღნიშნული პროექტი განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე და მისი თანხმობით დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს.